VILLAGES IN ZHAMURI VALLEY

ნასოფლარები ჟამურის ხეობაში

DAVID AKHLOURI

Doctor of History, Associate Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract. The article talks about the devastated villages in the Zhamuri valley". Zhamuri valley begins at the shores of lake "keli", where the Ksani river originates and extends through the territory up to karchokhi valley. While researching the issue, we initially concentrate on the 10th century book of Sargo Samtavneli. This variant is written in "Nuskhuri" and is found in the collection of church documents curated by the renowned scholar S. Kakabadze, included in his historical collection. Zhamuri is directly mentioned in the sources, indicating that traces of the Georgian population can be found here from the very beginning. Remarkable information about the Zhamuri valley is found in "Aghtsera", a work by the famous Georgian historian and geographer Vakhushti Batonishvii , from XVIII century. In his notes, he mentions that Georgian peasants used to inhabit this area. Later, they moved to the dale and Ossetians from the North Caucasus replaced them here. The historical fact, that, right Georgians were the people who inhabited the territory of Zhamuri before their arrival, is not only confirmed by the X century book of Sargo Samtavneli , which has been previously mentioned, but is also substantiated by other sources, worth noting is the XV century book of Samtavneli, specifically its worshipper's drama and introduction, where Zhamuri is also referenced. The opinion of I. Gagoshidze is noteworthy, while discussing the IV-III centuries BC, he emphasizes the toponymic coincidence between Bagini of Zhamuri valley and Bagineti of Mtskheta and indicates, that during this period the population moved from Ksani valley to the dale. To study the past of Zhamuri valley, it is crucial to analyze the architectural monuments here, as Vakhushti Batonishvili notes, there are many tall and wellbuilt towers in the valley, with Bertsikhe standing out. Researchers date the back tower of the castle-complex to the Middle Ages and the cylindrical tower at the southern end to the XVIII century. The church without an Aspe standing between the towers is considered to be the oldest. Among the fortification buildings of Zhamuri valley, the Alaverdi castlecomplex is also noteworthy and Parmen Zaqaria searches for its analogue in monuments from the IX to X centuries. Apart from Bertsikhi and Alaverdi there are several stand-alone watchtowers in Zhamuri valley, including Bagin, which according to general data, dates from the end of the XVI to XVII centuries. The work explains the names of Zhamuri and explores the existing architectural monuments, illustrating the religious existence of the valley's inhabitants. The main part of the research is devoted to the demographic situation, here the period of settlement and life of the Ossetian population, both the lists of the XVIII century and

the IX-XX centuries are reviewed. Most of which are published for the first time, according to Russian chamber censuses of the IX century , we can conclude that there were 18 villages in Zhamuri by the end of the XIX century : Babuaantkari(1 household), Valag Bagini (16 household) Middle, below Bagini (11 households), Gorga (3 households), Gurtsiaantkari (10 households) Jaantkari (Jiantkari) (3 households), Dzotsiaantkari (5 households), Kapikavi(3 households) Kora (12 households) , Kurdikomi (1 household), naviskhevi (4 households) , Fagiantkari (5 households), Sago (5 households), Sigda (1 household), Togoiantkari (4 households) , Farniantkari (1 household), Tsinasofeli (3 households) , Chigoiantkari , Dalakau (13 households) , here used to live : Biganashvilebi, Bitarashvilebi , Gurchishvilebi, (Gurtsishvilebi), Gabloshvilebi, Jebisashvilebi, Medoshvilebi, Togoshvilebi, Farnishvilebi, Fagishvilebi, Choghoshvilebi, Goloshvilebi… they were orthodox Christians. The lands and serfs in Zhamuri, belonged to the nobility of Ksani. The last villages, where the population still lived until the 1980s of the XX century. At the time of the 1989 census, no one lived in the Zhamuri valley.

Keywords: Zhamuri valley; Samtavneli Sargo; Demographic lists; nobles of Ksani; servant-peasants; devastated villages; castle-complex.

დავით ახლოური

ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., №53,1400, საქართველო,
+995568990779, datoakhlouri@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი. ნაშრომში საუბარია ჟამურის ხეობის ნასოფლარებზე. ჟამურის ხეობა ყელის ტბის მიდამოებიდან იწყებოდა, საიდანაც მოედინება მდინარე ქსანი და მოიცავდა ტერიტორიას ქარჩოხის ხეობამდე. საკითხის კვლევისას, პირველ რიგში ყურადღებას ვამახვილებთ სამთავნელის სარგოს X საუკუნის დავთარზე, რომლის ნუსხური ტექსტი საეკლესიო საბუთების კოლექციაში უნახავს ცნობილ მეცნიერს ს. კაკაბაძეს და თავის საისტორიო კრებულში შეუტანია. წყაროში უშუალოდ ჟამურია მოხსენიებული, რაც იმ ფაქტზე მიგვანიშნებს, რომ აქ ქართული მოსახლეობის კვალი ადრიდანვეა საძიებელი.

ჟამურის ხეობის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“. როგორც იგი აღნიშნავს, ადრე ამ ტერიტორიაზე ქართველ გლეხებს უცხოვრიათ, რომლებიც შემდგომ ბარში ჩამოსულან და მათი ადგილი ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებულ ოსებს დაუკავებიათ.

ჟამურის ტერიტორიაზე ოსების დამკვიდრებამდე რომ ქართველები სახლობდნენ, ეს სხვა წყაროებითაც დასტურდება, უკვე ნახსენები სამთავნელის სარგოს X საუკუნის დავთარის გარდა, აღსანიშნავია XV საუკუნის სამთავნელის სამწყსოს დრამისა და შესავლის დავთარიც, სადაც ასევე მოხსენიებულია ჟამური. საყურადღებოა ი. გაგოშიძის მოსაზრება, იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებზე საუბრისას ყურადღებას ამახვილებს ჟამურის ხეობის ბაგინისა და მცხეთურ ბაგინეთს შორის ტოპონიმიკურ თანხვედრაზე და მიგვანიშნებს ამ პერიოდში მოსახლეობის ქსნის ხეობიდან ბარში გადაადგილებაზე.

ჟამურის ხეობის წარსულის შესასწავლად მნიშვნელოვანია აქ არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების ანალიზი. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, ხეობაში მრავალი მაღალი და კეთილნაშენი კოშკია, მათ შორის გამოარჩევს ბერციხეს, ციხე-კომპლექსის ზურგიან კოშკს მკვლევარები ადრე შუა საუკუნეებით ათარიღებენ, სამხრეთის ბოლოში მდგარ ცილინდრულ კოშკს კი - XVIII საუკუნით, უძველესადაა მიჩნეული კოშკებს შორის მდგარი უაფსიდო ეკლესიაც.

ჟამურის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობებიდან აღსანიშნავია ასევე ალავერდის ციხე-კომპლექსი, რომელსაც პარმენ ზაქარაია IX-X საუკუნეების ძეგლებში უძებნის ანალოგს.

ბერციხისა და ალავერდის გარდა, ჟამურის ხეობაში, საგუშაგო დანიშნულების მქონე რამდენიმე მარტო მდგარი კოშკი გვხვდება, მათ შორის ბაგინის კოშკი, რომელიც საერთო მონაცემებით XVI-XVII საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. ნაშრომში განმარტებულია ჟამურისა და აქ არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების სახელწოდებებია, ნაჩვენებია ხეობის მცხოვრებთა რელიგიური ყოფა.

კვლევის ძირითადი ნაწილი ეთმობა დემოგრაფიულ ვითარებას, აქ ოსი მოსახლეობის დამკვიდრებისა და ცხოვრების პერიოდს, გაანალიზებულია როგორც XVIII საუკუნის ნუსხები, ისე XIX-XX საუკუნეების აღწერათა მონაცემები, რომელთა უმრავლესობა ქვეყნდება პირველად, რუსული კამერალური აღწერების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჟამურში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისთვის 18 სოფელი არსებობდა: ბაბუანთკარი (1 კომლი), ვალაგ ბაგინი (16 კომლი), შუა ანუ ქვემო ბაგინი (11 კომლი), გორგა (3 კომლი), გურწიანთკარი (10 კომლი), ჯაანთკარი (ჯიანთკარი) (3 კომლი), ძოწიანთკარი (5 კომლი), კაპიკავი (3 კომლი), კორა (12 კომლი), კურდიკომი (1 კომლი), ნავისხევი (4 კომლი), ფაგიანთკარი (5 კომლი), საღო (5 კომლი), სიღდა (1 კომლი), თოგოიანთკარი (4 კომლი), ფარნიანთკარი (1 კომლი), წინასოფელი (3 კომლი), ჩიგოიანთკარი იგივე დალაკაუ (13 კომლი). აქ ცხოვრობდნენ: ბიგანაშვილები, ბიტარაშვილები, გურჩიშვილები (გურწიშვილები), გაბლოშვილები, ჯებისაშვილები, მედოშვილები, თოგოშვილები, ფარნიშვილები, ფაგიშვილები, ჩოღოშვილები, გოლოშვილები... ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. ჟამურში მიწები და ყმები ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. ბოლო სოფლები, სადაც XX საუკუნის 80-იან წლებამდე მოსახლეობა ჯერ კიდევ ცხოვრობდა, ჩიგოიანი (8 კომლი) და ნავისხევი იყო (2 კომლი). 1989 წლის აღწერის დროს კი ჟამურის ხეობაში აღარავინ მკვიდრობდა.

საკვანძო სიტყვები: ჟამურის ხეობა; სამთავნელის სარგო; დემოგრაფიული ნუსხები; ქსნის ერისთავები; ყმა-გლეხები; ნასოფლარები; ციხე-კომპლექსი.

შესავალი

მდინარე ქსანი ყელის ტბიდან მოედინება, გაივლის მთიანეთს 4-5 კმ-ის მანძილზე და არხის ქედის გადაკვეთის შემდეგ ჩანჩქერების სერიით სწორედ ჟამურის ხეობაში ეშვება.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „მდინარე კსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით დის და გამოსდის ქნოღოს ჟამურის საშუალს კავკასს, ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქუეით სამხრით გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკუარს“ **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 359).**

ქსნის სათავე რამდენიმე ხეობისაგან შედგება: ჟამურის, ქარჩოხის (ზოგჯერ ერთადაც ახსენებენ ქარჩოხ-ჟამურის ხეობას), ცხრაზმისა და ჭურთის.

ჟამურის ხეობა ნასოფლარ ბაგინიდან იწყება, რომელიც თავის მხრივ ორ ნაწილად იყო გაყოფილი - ზემო და ქვემო ბაგინებად, ხეობის ბოლო სოფლები ჩიგოიანი და ნავიხევი (ადრინდელი ნავისხევი) იყო. ეს სოფლები ქარჩოხის სიახლოვეს, „მთის ბარში“ მდებარეობდნენ, ამიტომაც ჟამურის ხეობის შედარებით მთიანი რეგიონიდან აქ მუდმივად ხდებოდა მოსახლეების შიდა მიგრაცია. ჟამურის ხეობა განთქმული იყო თავისი საზაფხულო საძოვრებითა და ალპური იალაღებით, რაც ხელს უწყობდა მესაქონლეობისა და მეცხვარეობის განვითარებას. აქ ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ოსები ბოლო დრომდე მისდევდნენ მეფუტკრეობასაც. ჟამური განთქმულია თავისი სამკურნალო მინერალური წყლებით, რომლებიც ქსნის ხეობელებისთვის მჟავე წყლების სახელითაა ცნობილი.

XIX საუკუნის მიწურულს ჟამურში 18 სოფელი იყო, აქ დამკვიდრებული ოსების გვარები, ქართული გვარების მსგავსად შვილზე ბოლოვდებოდა, იყვნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები და კეთილმეზობლური ურთიერთობები ჰქონდათ ქსნის სხვა ხეობების აბორიგენ ქართულ მოსახლეობასთან.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, ვიდრე ჟამურის ხეობაში ჯერ კიდევ ცხოვრობდა მოსახლეობა, ადმინისტრაციულად ქარჩოხს ექვემდებარებოდა სოფლები: ნავიხევი და ჩიგოანი **(ბალაანი (ქე), 1997: 341).**

სამწუხაროდ, უკვე ათეული წლებია, რაც ჟამურის ხეობაში მხოლოდ ნასოფლარებია შემორჩენილი, რამდენიმე სოფლის სახელი კი, რომლებზეც ნაშრომში გვექნება საუბარი, სიახლე იქნება ქსნის ხეობაში მცხოვებ უხუცესებისთვისაც კი, რომლებსაც თავის დროზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ჟამურის ხეობელებთან.

მეთოდები

საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ არსებული წყაროებისა თუ სხვა ისტორიული მასალის კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ ჟამურის ხეობაში საუკუნეების მანძილზე არსებული სოფლები, რომლებიც დღეს უკვე ნასოფლარებადაა ქცეული. დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება მოვახდინოთ წყაროებში მოხსენიებული სოფლების ლოკალიზება და განვსაზღვროთ იქ არსებული ისტორიული რეალობა... ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები

ახლობელი და მშობლიურია ჩემთვის ქსნის ხეობა, განსაკუთრებით მისი მთიანი ნაწილი, სადაც დავიბადე და გავიზარდე. იქ ვცხოვრობდი. ქსნის ხეობელთა უფროსი თაობის მონათხრობით კარგად ვიცოდი ჟამურში ოდესღაც არსებული სოფლების უმეტესობა თავისი მოსახლეობით, ყოფა-ცხოვრებით. ფეხით მაქვს შემოვლილი ქსნის ხეობის სათავეებთან მდებარე ძველი ნასოფლარები. ნანახი მაქვს იქ არსებული საფლავის ქვების ქართული ეპიტაფიები, ხუროთმოძღვრული ძეგლები, რაც დიდ დახმარებას მიწევს შევავსო და დავაზუსტო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ცნობები ჟამურის ხეობის სოფლების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია, XVIII-XX საუკუნეების დემოგრაფიული აღწერების სრულყოფილად შესწავლა, რის შედეგადაც ნაშრომში, თავისი ისტორიით, წარმოჩენილია თითქმის ყველა ის სოფელი, რომელიც ოდესღაც არსებობდა ქსნის სათავეებთან და თავის როლს ასრულებდა საქართველოს ცხოვრებაში.

დისკუსია (მსჯელობა)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელწოდება ჟამური გვხვდება X საუკუნის სამთავნელის სარგოს წიგნში, იმ დროისთვის იგი ერთი კონკრეტული დასახლების ან შესაძლებელია რამდენიმე უბნის საერთო სახელწოდება ყოფილიყო. ჟამურის შესახებ ცნობები მოგვეპოვება XV საუკუნის სამთავნელის სამწყსოს დრამისა და შესავლის დავთარშიც: „ჟამურს პური დ, დრამა ი, ქ<ა>ლმ<ა>ნი ა, საბ(ე)ლი ვ, რ(ა)ი ხუცესს - ტყ(ა)ვი, მხარი და ყველი“ (ჯავახიშვილი, 1974: 10).

ი. გაგოშიძე ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებზე საუბრისას მიგვანიშნებდა მოსახლეობის ქსნის ხეობიდან ბარში გადაადგილებაზე და ყურადღებას ამახვილებდა ქსნის ხევის, იგივე ჟამურის ხეობის ბაგინისა და მცხეთურ ბაგინეთს შორის ტოპონიმიკურ თანხვედრაზე, მკვლევარის აზრით: „ქსნის საერისთაო ადრეანტიკურ ხანაში უნდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ფორპოსტთაგანი შიდა ქართლში. ამ ხევის მჭიდრო კავშირურთიერთობას IV-III საუკუნეთა მიჯნაზე

აღმოცენებული ქართლის სამეფოს ცენტრთან, კარგად გვიჩვენებს ტოპონიმიკური შეხვედრები ქსნის ხეობისა და მცხეთის მიდამოებს შორის (იგულისხმება ქსნის ხევის ბაგინი, არმაზი, საძეგური, ძეგლევი და მცხეთური ბაგინეთი, არმაზციხე, არმაზისხევი, ძეგვი - დ.ა.). ამ დამთხვევებში შესაძლებელია მოსახლეობის გარკვეული მასების გადაადგილებაც დავინახოთ ქსნის ხეობიდან ბარში. ყოველ შემთხვევაში, შეიმჩნევა ტენდენცია მთიდან ბარისკენ მოსახლეობის გადაადგილებისა.“ **(გაგოშიძე, 1964: 85).** იქვე მკვლევარი უთითებს ყანჩაველებისა და კორინთელების ქსნიდან ბარში ჩამოსვლაზე და ოსების მიერ მთიულების მამულების დაკავებაზე, რაც XVIII საუკუნის თანმხლები პროცესი იყო. გარდა მოსახლეობის ბარისკენ სწრაფვისა, ქსნის ხეობაში, ისევე, როგორც ზოგადად საქართველოში, ნასოფლარების სიმრავლეს დამპყრობელთა ბარბაროსულმა ლაშქრობებმაც შეუწყო ხელი, რომლის შედეგადაც ჩნდებოდა არაერთი ნაქალაქარი, ნასოფლარი, ნავენახარი... დროთა განმავლობაში ზოგიერთი მათგანის აღდგენა ისევ ხერხდებოდა, ზოგი კი მხოლოდ ტოპონიმების სახით შემოგვრჩა ქართულ თუ უცხოურ წყაროებში **(ახლოური, 1923: 28).**

წყაროების სიმწირის გამო, სამწუხაროდ, დღეს შეუძლებელია ჟამურის ხეობის ქართულ მოსახლეობაზე საუბარი, „ძველი ქართული მოსახლეობა აქ (ჟამურის ხეობაში - დ.ა.) უკვე არ არის და გამოკითხვითაც მისი წარსულის გაგება უიმედო გამოდგა - წუხდა ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში ს. მაკალათია **(მაკალათია, 1968: 112-113).** აქ დამკვიდრებული ოსი მოსახლეობის შესახებ კი ცნობები მოგვეპოვება ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“, რომლის მიხედვით: „ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალს ჟამურისა არს ციხე, ბერციხედ წოდვილი, კსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე. არამედ მთიულეთსა და ამას შუა არს მთა მარადის თოვლიანი, უტყეო, კალთათა მცირე არყნალი. ჟამურის მხარეს ამ მთასა ზედა არს კოშკნი წარიგებულნი მრავალნი მაღალნი და კეთილნაშენნი. მოსავლით ვითარცა სხუანი მთის ადგილნი. ცხვარი აქაც უდუმო, პირუტყუნი არა ეგოდენ მრავალნი“ **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 360).**

მოყვანილ ციტატაში ყურადღებას იქცევს სიტყვები: „აწ მსახლობელნი არიან ოსნი.“ რასაც ცნობილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ერთგან თვითონვე აზუსტებს: „კსნის მამულნი, რომელნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არს მთანი შემკობილნი ყუავილითა და ბალახითა... დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომდნობნი და მომნელებელნი, და სმენ მუნებურნი; უწოდებენ ვეძას, პირუტყუთ შემრგო, გამასუქებელი. ხოლო რაოდენი ოსნი დავსწერეთ ამა ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრუნეთა მათგან გადმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბარსა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან" **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 355).**

ვახუშტი ბატონიშვილის წყაროზე დაყრდნობით, რ. თოფჩიშვილი XVIII საუკუნის დასაწყისიდან უკვე რეალობად მიიჩნევს ქსნის ხეობის სათავეებთან ოსების დამკვიდრების ფაქტს: „XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ჟამურში ოსების მკვიდრობა უკვე ფაქტია, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერს, „ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი“. აღნიშნული ციტატა, რა თქმა უნდა,

მიუთითებს იმაზე, რომ ჟამურში ოსური მოსახლეობა მოსული იყო, ადრე აქ ქართველები მკვიდრობდნენ, რომლებიც დაბლობისაკენ გადასახლდნენ. ერთი ასეთი ქართული გვარი ჟამურელი დღეს ქსნის ხეობის მთისწინეთში მკვიდრობს. მკვლევართა დაკვირვებით, ვახუშტის დროს ოსთა დასახლება ქსნის ხეობაში მხოლოდ ჟამურით განისაზღვრებოდა“ **(თოფჩიშვილი, 1987: 30).** დაზუსტების სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ვახუშტის მინიშნებით ოსები ცხოვრობდნენ ჟამურისა და ჭურთის ხეობებში, იგი არაფერს ამბობს ქსნის სხვა რეგიონში ოსთა განსახლებაზე...

ა. თოთაძე თავის მხრივ იშველიებს ვახუშტის ნათქვამს, ოსები მარცვლეულს „ვერ სთესავენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო" და ბუნებრივად მიიჩნევს მათ ლტოლვას სამხრეთისაკენ. „ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ მტრებთან გამუდმებულ ბრძოლებში ქართლის მოსახლეობა სულ უფრო მცირდებოდა და მათი შევსება მთის ქართველი მოსახლეობით ხდებოდა. ქართველთა ნასახლარ ადგილებს კი ოსები ეპატრონებოდნენ" **(თოთაძე, 1996: 208-209).**

ვ. ღუნაშვილის აზრით, შანშე ერისთავის ანტიირანული გამოსვლის დამარცხების (1741) შემდეგ „ქსნის საერისთავოში უამრავი ადამიანი დაიხოცა, ბევრიც თურქეთში გადავიდა და გათურქდა, ხოლო ცხრაასი ადამიანი ავღანელმა ჯარისკაცებმა ზოგი დახოცეს და ზოგიც დაყიდეს, შეიძლება დავასკვნათ: ადგილობრივ მოსახლეობისაგან დაცლილ ქსნის საერისთავოში ოსთა ჩამოსახლება ეტაპობრივად მიმდინარეობდა. შანშემ ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილ ჟამურის ხეობასა და საფერშეთში XVIII საუკუნის 30-იან წლებში ჩამოასახლა გაოსებული დვალები, ხოლო შემდგომ 40-იან წლებში ლიახვის ხეობაში“ **(ღუნაშვილი, 2007: 276).** გაოსებული დვალების ქსნის ხეობაში დასახლებაზე საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „და კუალად დიდის ლიახვისა, პატარას ლიახვისა, კსნის ხევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დუალნივე, ამ დუალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“ **(ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: 648).**

ჟამურის ხეობაში ოსთა განსახლების საკითხს შეეხო ცნობილი ეთნოგრაფი გ. ჯალაბაძე, მისი მოსაზრებით: „ქსნის ხეობის ეთნიკური შემადგენლობა ისტორიულ ხანაში ასე წარმოგვიდგება: ძირითადი და ძირძველი მოსახლეობაა ქართველები, რომელთა განსახლება მოდიოდა ქარჩოხის ზედა წელიდან ქვემოთ, ცხრამმულას და ჭურთის ხევიდან ქვემოთ და ასევე ქსნის სხვა პატარა ხევების მოსახლეობის ჩათვლით. ქარჩოხის ზედა წელზე ჟამურის მიდამოებში და ცალკეული ხევების სათავეებში მოსახლეობდა დვალური მოდგმის ხალხი. XII-XIV საუკუნეებიდან ქსნის ზედა წელის ხეობის მიდამოებში ოსეთიდან შემოსული მოსახლეობა ჩნდება, რომელიც ადვილად ემკვიდრება დვალებთან ერთად და მიმდინარეობს მოსული ელემენტების დაფენება" **(ჯალაბაძე, 1975: 14).** აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა ქართულ-ოსური ურთიერთობების მკვლევარი, პროფ. რ. თოფჩიშვილი: „ამ მოსაზრების დამადასტურებელი რაიმე საისტორიო წყარო არ არსებობს. ქსნის ზედა წელი (ჟამური, ქარჩოხი) არასდროს შედიოდა დვალეთში და არცერთი საისტორიო წყაროთი ამ რეგიონში დვალებს არ უცხოვრიათ, მითუმეტეს, აქ დვალთა და ოსთა ურთიერთშერწყმაზე (თანაც XIII-XIV საუკუნიდან) ლაპარაკი ზედმეტია". თოფჩიშვილს განსაკუთრებით მიუღებლად მიაჩნია XIII-XIV საუკუნეებში

ოსთა მიგრაციის დაწყება ქსნის ხეობაში. ამის დასადასტურებლად კი საკმარისად მიაჩნია დიდი ოსი მეცნიერის ვასილ აბაევის ნათქვამი: „ოსები ქსნის ხეობაში ყველაზე გვიან, 200 წლის წინ დასახლკარდნენო" **(თოფჩიშვილი, 1997: 115-116).**

პროფ. ჯ. გვასალია ქსნის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოზე საუბრისას ყურადღებას აქცევს ვახუშტის აღწერაში ნახსენებ ბერციხეს: „ჟამურის ხეობის ციხე-კოშკებიდან ვახუშტი მხოლოდ ბერციხეს იხსენებს და არც შემთხვევით. ბერციხე მართლაც გამორჩეულია ამ ხეობაში. იგი მდებარეობს სოფ. თოგოიანის პირდაპირ მჟავე წყლისა და ქსნის ხერთვისში აღმართული კლდის თავზე. კლდე დასავლეთის და სამხრეთის მხრიდან დაახლოებით 100 მეტრი სიმაღლისაა, ჩრდილოეთის მხრიდან 30-40 მეტრისა. კლდე მისადგომია მხოლოდ აღმოსავლეთის მხრიდან, საიდანაც პირქუში რელიეფისა და ხელოვნური კედლების შეხამებით კარგად ყოფილა გამაგრებული. კლდის ზედა პლატო დაახლოებით 400 კვ. მეტრის ფართობისაა, რომელსაც ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და ნაწილობრივ სამხრეთის მხრიდან ზღუდე უვლიდა. ციხის ჩრდილო მხარეს ნახევრადცილინდრული ე.წ. ზურგიანი კოშკის ნანგრევებია. მას ბრტყელი ნაწილი ციხის შიგნითა მხრისკენ აქვს მიქცეული, ნაგებია კარგად გათლილი ფლეთილი ქვების კვადრებისაგან და უნდა განეკუთვნოს ადრეფეოდალური ხანის ამ ტიპის ძეგლთა ჯგუფს. მის სამხრეთით რამდენიმე ნაგებობის ნანგრევებია. უფრო სამხრეთით სწორკუთხა საკურთხევლიანი ეკლესიაა. საკურთხევლის ქვეშ სარდაფია, რომელშიც რამდენიმე ქვევრია ჩადგმული. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე ვიწრო სარკმელი გამოდის, რომელსაც ადრეულ ძეგლთათვის დამახასიათებელი დაბალ-რელიეფიანი წარბი აქვს. ციხის შიგნით სხვა ნაგებობათა ბუდეებიც შეინიშნება. ეკლესიისა და სათვალთვალო კოშკის კომპლექსი ადრეფეოდალური ხანით თარიღდება“ **(გვასალია, 1967: 28-29).** მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ციხის სახელწოდებაზეც და ტოპონიმის პირველ ნაწილს „ბერს“ ძირძველ ქართველურ სიტყვათა ჯგუფს მიაკუთვნებს, რომელიც არაერთი მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ: „ჩვენი ყურადღება მიიპყრო მისმა ჭანურმა ფორმამ ბერ-ი და ქართულმა ბერ-ა, რაც ა. ჩიქობავას მიხედვით ნიშნავს ცხვრის საწველელს, შემოფარგლულ ადგილს, სადაც ცხვარს წველენ“ **(გვასალია, 1967: 29).** გვასალიას აზრით, მეცხვარეობის რაიონში არსებულ ციხეს ტერმინის ეს მნიშვნელობა ზედმიწევნით მიესადაგება, თუმცა იქვე მოჰყავს ტოპონიმის განმარტების ხალხში მოსმენილი ვერსია და ასკვნის: „ციხის ფუნქციის ხალხური განსაზღვრა - როგორც ბერთა საცხოვრებლისა, გამოხატავს ტერმინ „ბერის“ მხოლოდ ცალმხრივად გაგების - დაყუდებულის მნიშვნელობით შინაარსს“ **(გვასალია, 1967: 29).**

თავის „ახალგორულ ჩანაწერებში“ ბერციხეს მოიხსენიებს პ. ზაქარაიაც: „ჟამურის ხეობაში ციხისათვის შეურჩევიათ, შედარებით დაბალი ადგილი, მდინარის ორ ტოტს შორის მოქცეული ოციოდე მეტრის სიმაღლის კლდოვანი პლატო. პლატოს დათვალიერებისას საოცარი გრძნობა გეუფლებათ: ოდესღაც დიდი, რთული და მჩქეფარე სიცოცხლიდან ახლა მხოლოდ ტყით დახურული ნანგრევებიღა დარჩენილა. ხავსმოკიდებული კედლები მხოლოდ ძველ დიდებაზე მეტყველებენ. აქ მცხოვრებ და მებრძოლ ქსნის ხეველებს თავიანთ თავზე ერთი სიტყვაც არ დაუტოვებიათ“ **(ზაქარაია, 1981: 10-11).** მკვლევარი ბერციხის ნანგრევებიდან ზურგიან კოშკს გამოარჩევს, რომელსაც

ადრე შუა საუკუნეებით ათარიღებს, სამხრეთის ბოლოში მდგარ ცილინდრულ კოშკს კი XVIII საუკუნისად მიიჩნევს, უძველესად მიაჩნია კოშკებს შორის მდგარი უაფსიდო ეკლესიაც.

ჟამურის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობებიდან აღსანიშნავია ასევე ალავერდის ციხე-კომპლექსი, რომელსაც პარმენ ზაქარაია IX-X საუკუნეების ძეგლებში უძებნის ანალოგს და მიიჩნევს, რომ კოშკი ეკლესიაზე ადრე უნდა იყოს აგებული, აქ დარბაზი უფრო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ციხეო. „კოშკი აქაც ზურგიანია და ექვსსართულიანია, იგი კარგი პროპორციისაა. პირველი სართული სამი მეტრის სიმაღლეზე იწყება. კარი და ზედა ხაზზე განლაგებული სარკმლები ხეობისაკენ იცქირებიან.ეკლესია მისთვის დამახასიათებელ ფორმას ატარებს, იგი უაფსიდოა. სარკმლები რელიეფური თავსართებითაა მორთული. გალავანი მაღალ და მტკიცე ნაგებობას წარმოადგენს. მას შესასვლელი სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონია“ **(ზაქარაია, 1981: 10).** პ. ზაქარია ციხის სახელწოდებაზეც ამახვილებს ყურადღებას: „ამ ციხის ნანგრევების ნამდვილი სახელი ვერ დავადგინეთ, სოფელ ძიმირის (ჟამურის - დ.ა.) მცხოვრებლები კი მას ალავერდს ეძახიან“ - აღნიშნავს იგი **(ზაქარაია, 1962: 71-72).**

ტოპონიმს განმარტავს ჯ. გვასალია: ალავერდი შეიძლება ყოფილიყო ამ კომპლექსის ნამდვილი სახელი. კოშკიდან კარგად მოჩანს მთელი ჟამურის ხეობა. ციხე-სიმაგრეს ალპური საძოვრების მხარეში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს. საბას მიხედვით ალავერდი ბალახის სახელია, ხოლო ალერდი ნედლი თივა. დვალეთის სოფ. ჟღელეში თიბვის დაწყების წინ იმართება თიბვასთან დაკავშირებული დღეობა, მთიულეთ-გუდამაყარშიაც დამოწმებულია წარმართული ხასიათის დღეობის „თიბვის სამღთოს“ არსებობა.

შესაძლოა ყოველივე ამან გასაღები მოგვცეს არა მარტო ქსნის „ალავერდის“, არამედ კახეთის განთქმული სალოცავის „ალავერდის“ ეტიმოლოგიისთვისაც, რომლის ადგილას წარმართული სალოცავი სტრაბონის დროსვე იგულისხმება და ტერიტორიულად მესაქონლეობის რაიონის ცენტრში ექცევა **(გვასალია, 1967: 30).** გვასალიას აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჟამურის ხეობაში ქართული მოსახლეობა წინარექრისტიანული ხანიდან მკვიდრობდა. იგი სახელწოდება ძიმირსაც განმარტავს, რომელსაც ოსური მოსახლეობა ჟამურის ხეობას უწოდებდა და ქართულ-მეგრულ-სვანურ ძირძველ სიტყვასთან აკავშირებს: ძამური-ჯიმილი ან ჯიმური, ჟამურს კი უფრო გვიან გაჩენილად მიიჩნევს, რაშიც ვერ დავეთანხმებით. მიგვაჩნია, რომ ჟამური ხეობის ადრინდელი სახელწოდებაა, ჟამთან დაკავშირებული... როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სახელი წყაროებში X საუკუნიდან გვხვდება, ძიმირად კი მას მოგვიანებით აქ დამკვიდრებული ოსები მოიხსენიებდნენ, რაზეც თვითონ გვასალიაც საუბრობს.

ბერციხისა და ალავერდის გარდა ჟამურის ხეობაში რამდენიმე მარტო მდგარი კოშკიც გვხვდება, რომლებსაც საგუშაგო დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, მათ შორის გამოსარჩევია ქსნის ხეობის პირველ სოფელში აღმართული ბაგინის კოშკი. ს. მაკალათია და პ. ზაქარაია ბაგინს ქსნის ხეობის უკანასკნელ სოფლად მიიჩნევენ. როგორც ჩანს, ბარიდან მთაში მიმავალნი საწყისად მდინარე ქსნის მტკვართან შეერთების ადგილს იღებდნენ, როგორც

ს. მაკალათია წერს ბაგინის კოშკი „მდებარეობს ქსნის ხეობის უკანასკნელ სოფელში - ჟამურის ხეობაში. კოშკი ოთხსართულიანია, აქვს ოთხკუთხა ჩარდახი (სალოდე) **(მაკალათია, 1968: 112).** პ. ზაქარაიას მიხედვით, ქსნის ხეობის უკანასკნელი სოფელი ბაგინი ალპურ ზონაში მდებარეობს და ორი დასახლება აქვს საზაფხულო და საზამთრო, პირველი მაღლა პლატოზეა, მეორე - ღრმა ხევშია, მდინარის ნაპირს მოფარებული. „ზედა სოფლის ტერიტორიაზე დგას კოშკი, მცირე ზომის ეკლესია და მიწისზედა აკლდამები. პირამიდული კოშკი საშუალო ზომისაა. კარგი პროპორციები და მტკიცედ ნაგები კედლები კოშკს მიმზიდველს ხდის. თავისთავად ამ კოშკს ხეობის სათავეში მხოლოდ სადაზვერვო დანიშნულება შეიძლებოდა ჰქონოდა. აქედან გზა მაღრან-დვალეთის გავლით ჩრდილოეთში ჩადიოდა. კოშკი ოთხსართულიანია და კარი პირველ და მეორე სართულზე ცალ-ცალკე აქვს, რაც ცალკე მდგარ კოშკებში იშვიათად გვხვდება. კოშკი ისტორიულ წყაროებში არ იხსენიება, მაგრამ საერთო მონაცემებით იგი XVI-XVII საუკუნეთა მიჯნით თარიღდება“ **(ზაქარაია, 1981: 11).**

როგორც ჟამურის ხეობაში, ასევე პატარა ლიახვზე, მეჯუდასა და ქსნის ხეობის შუა წელზე პოპულარული სალოცავი იყო წითელი ხატი, მას განსაკუთრებულ თაყვანს სცემდა ოსური მოსახლეობა. წითელი ხატი მდებარეობს ნასოფლარ ქვედა ბაგინში, გეგმით სწორკუთხა დარბაზული ეკლესია აგებულია სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით, აღმოსავლეთით საკურთხევლითაა დასრულებული, მის ცენტრში სარკმელია გაჭრილი, არქიტრავული შესასვლელი სამხრეთითაა, დასავლეთ კედელში ერთი ნიშაა, მეორე ნიშა აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის თავზეა, რომელშიც წარწერიანი ზარები ჰკიდია. გალავან შემოვლებული ეკლესია რამდენჯერმეა გადაკეთებული, საბურავად ყავარია გამოყენებული **(შიდა ქართლი, 2008: 208).**

ჯ. გვასალია წითელ ხატს „საშინელი ძალის“ მქონედ მიიჩნევდა: „წითელ ხატს მიეწერება საშინელი ძალა. მოსახლეობის რწმენით, წითელი ხატის მახლობლად გავლილი კაცი, ან ცხვარი იღუპება. სექტემბერში ყელის ტბის პლატოდან დაბრუნებული მეცხვარენი წითელი ხატის სახელზე ცხვარს ჰკლავენ. წითელი ხატი წმ. გიორგის სახელობისა ყოფილა. მოსახლეობას დღეს არ ახსოვს, მაგრამ პატარა ლიახვის სოფელ ბისოეთის ხატის ნანგრევებში ვნახეთ ჯვარი წარწერით, სადაც მოხსენიებული იყო: „წითელი წ˜ა გიორგის ხატი“. ჩანს საქართველოში თეთრ წმინდა გიორგისთან ერთად ყოფილა წითელი წმ. გიორგის თაყვანისცემაც **(გვასალია, 1967: 28).** მამაჩემი გრიგოლ გიორგის ძე ახლოური (დაბ. 1948 წელს), პროფესიით პედაგოგი იყო და ზაფხულის არდადეგების დროს ცხვრის ფარას მსწყემსავდა, მას და მის მეგობარ მეცხვარეებს გალადურის, ქნუღის თუ სანგალის საზაფხულო საძოვრებამდე გზად ბაგინი უნდა გაევლოთ. მისი მონათხრობით ვიცი, რომ წითელი ხატის დეკანოზები დღესასწაულისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ და გაწმენდის ნიშნად, ლოცვის დაწყებამდე რძეში განიბანებოდნენ.

ვახუშტი ბატონიშვილის ჟამურის ხეობის შესახებ არსებული ცნობებისა და მატერალური კულტურის ძეგლების მიმოხილვის შემდეგ, XVIII საუკუნის კიდევ ერთი ცნობილი მოღვაწის იოჰან ანტონ გიულდენშტედტის მონათხრობს შევეხებით. გერმანელი მოგზაური ცდილობს თავის ჩანაწერებში ცალკე აღწეროს ჭურთისა და ჟამურის ხეობები, ოღონდ ამ ორ ხეობას შეცდომით ერთმანეთთან აიგივებს „ჭურთა ანუ ჟამურიო“.

სოფლების ჩამონათვალში მოხსენიებულია: „1. დელკანი 2. ნგოშე (?), ხამატატკან (?) მიდაკუკან (?) 9. გორგა 10. ძეგოიანი 11. თოგოიანი 12. მასიკეკან 13. ჯავათკარი 14. სიდა 15. კუცხოეთი 16. ველისი 17. მასიკციხე (?) 18. საბარკლეთი 19. ქალაქა 20. სკატე (?) 21. ჭურთა 22. ცქუნეთი 23. ჯანგათკარი 24. კორა 25. ცალკარი (?) 26. შმორი 27. ქარელთკარი 28. ბულხავი (?) 29. შატაკიანთკარი 30. ბეგოთკარი 31. ყველდაბა 32 ხნიბალი (?) 33. ძაბოეთი 34. იპეეთი (იკეთი?) 35. მოჭალ(ი)ეთი 36. დორეთკარი 37. გავაზი (Gaumusi) 38. ილურთკარი 39. ფუჭიანთკარი 40. მეწყერი.“ **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962: 275).** ჩამონათვალში ზოგიერთი ტერმინი, როგორც მინიშნებული კითხვის ნიშნებითაც ჩანს, ჩვენთვის გაუგებარია. ასევე, ჭურთისა და ჟამურის სოფლების გარდა, ქარჩოხისა და ცხრაზმის ხეობების რამდენიმე სოფელიცაა დასახელებული. ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება, გიულდენშტედტი მაინც მეტ-ნაკლები სიზუსტით ახერხებს როგორც ქართველებით, ისე ოსებით დასახლებული სოფლების სახელთა გადმოცემას **(ახლოური, 2007: 37).**

ქსნის ოსების საკომლო მამულების ნუსხაში ჟამურის ხეობას მიწერილია ორმოცდაცამეტი საკომლო „ახალს გატეხილს გარდა“ **(ჯავახიშვილი, 1974: 188).** ანუ ხეობაში იმ დროისთვის ოსთა რაოდენობა იზრდებოდა.

იოანე ბატონიშვილის ქართლ-კახეთის აღწერის მიხედვით: „ჟამური ხეობა არს, ოსები მოსახლეობენ, სოფელი 9 მოსახლენი“ და ეკუთვნის მეფის ძეს იოანეს **(იოანე ბაგრატიონი, 1986: 37).**

1803 წლის საუფლისწულო აღწერაში ჟამურის ხეობის შემდეგი სოფლებია ჩამოთვლილი: სიკდა (სიღდა) (10 კომლი, 31 მამაკაცი, 28 ქალი), ციპი (14 კომლი, 50 მამაკაცი, 35 ქალი), კოსიანი (ხოსიანი) (6 კომლი, 23 მამაკაცი, 14 ქალი), ჯავათ-კარი (5 კომლი, 14 მამაკაცი, 13 ქალი), ვაკე (15 კომლი, 80 მამაკაცი, 41 ქალი), ციხალები (9 კომლი, 41 მამაკაცი, 27 ქალი), კუციკიმო (კუდიკომო) (3 კომლი, 10 მამაკაცი, 12 ქალი), კიბიხანი (კიბილანი) (9 კომლი, 35 მამაკაცი, 25 ქალი), თოგოანთი (7 კომლი, 22 მამაკაცი, 14 ქალი), გორგა (7 კომლი, 20 მამაკაცი, 12 ქალი), ბაგინი (9 კომლი, 45 მამაკაცი, 37 ქალი), შუბაგინი (შუაბაგინი) (14 კომლი, 47 მამაკაცი, 43 ქალი), ჩერქაზანი (4 კომლი, 22 მამაკაცი, 15 ქალი) **(Акты: 82).** დასახელებულ 13 სოფელში ცხოვრობს 112 კომლი (440 მამაკაცი, 316 ქალი). დ. გვრიტიშვილი, აღნიშნული აღწერის მიხედვით, ადგენს XVIII საუკუნის ბოლოსთვის ქსნის საერისთავოში შემავალი ჟამურის ხეობის სოფლების სიას: სიქდა, წინ, ქოსიანი (ქოსოიანი?), ჯავათკარი, ვაკე, ციხილები, კუდიკომო, კიბიხონი, თოგოიანი, გორგა, ბაგინი, შუა ბაგინი, ჩერქეზანი, კორა **(გვრიტიშვილი, 1955: 79).** ჯ. გვასალია შენიშნავს, რომ „ამ სიაში“ ვერ ვხვდებით სოფლებს: ალავერდს, ბერციხეს, ხეთაანს, შავციხეს, ფაგაანს, გურჭიანს, ნავისხევს (ნიავის ხევს?), ჩიღოიანს, მისი აზრით, „შეიძლება ეს იმით აიხსნას, რომ ზოგი სოფელი იმ დროს უკვე მკვდარია, ან ჯერ არ არსებობს, ნაწილის მოუხსენებლობა კი აღწერის უზუსტობის ბრალია“ **(გვასალია, 1967: 28).** როგორც გვრიტიშვილთან, ისე გვასალიასთან სოფლების ჩამონათვალი არასრულია, დასაზუსტებია სოფლის სახელწოდებებიც, რასაც სრულყოფილად წარმოვაჩენთ XIX საუკუნის კამერალური აღწერების გაანალიზებისას.

1804 წლის კამერალურ აღწერაში ჟამურის ხეობის სოფლების ჩამონათვალში მოხსენიებულია გორგა (5 კომლი, 20 მამაკაცი, 14 ქალი), ზალობაგანი, რაშიც ზემო ბაგინი უნდა ვიგულისხმოთ (10 კომლი, 44 მამაკაცი, 37 ქალი), კიბილაანი (9 კომლი, 34 მამაკაცი, 33 ქალი), შუვაბაგანი (შუაბაგინი) (10 კომლი, 33 მამაკაცი, 28 ქალი), ცაგო (3 კომლი, 11 მამაკაცი, 7 ქალი), ჩერქეზანი (4 კომლი, 22 მამაკაცი, 16 ქალი), ვაკე (16 კომლი, 76 მამაკაცი, 42 ქალი), ციხილები (17 კომლი, 70 მამაკაცი, 69 ქალი), ხოსიანი (5 კომლი, 18 მამაკაცი, 21 ქალი), ქვემო სოფელი (15 კომლი, 60 მამაკაცი, 53 ქალი) **(გსიემ, 1956: 140-153).** სულ 10 სოფელში ცხოვრობს 94 კომლი, 388 მამაკაცი და 320 ქალი.

1814 წლის აღწერით ჟამურის ხეობაში ყმები ეკუთვნოდათ ქსნის ხეობელ თავადებს: დავით, მიხეილ, მირმანოზ და სოლომონ ერისთავებს. სოფელ გორგაში ცხოვრობდნენ ბიტარაშვილები და გოლოშვილები, 11 კომლი, 35 მამაკაცი და 22 ქალი (57 სული); ვაკისოფელში - ფანაშვილები, კორელიშვილები და გოლოშვილები, 13 კომლი, 47 მამაკაცი და 28 ქალი (75 სული); თოგოიანში - მხოლოდ თოგოშვილები: ქუჯანას, ჯინკრუს, ყაზიბეკის, აბელას, მიქელას, ქურთას ოჯახებში 13 მამაკაცი და 10 ქალი იყო (23 სული); სოფელ ციხეში - გურჭიშვილები, 20 კომლი, 48 მამაკაცი და 51 ქალი (99 სული); ქვემო ბაგინში (ჩერქეზაანი) - ჩერქეზაშვილები, 5 კომლი, 11 მამაკაცი, 7 ქალი (18 სული); კიბილანში - ხეტიშვილები და გოგოლიშვილები, 7 კომლი, 20 მამაკაცი, 12 ქალი (32 სული); შუა ბაგინში - ჯებისაშვილები, ბიტარაშვილები, მედოშვილები, 19 კომლი, 55 მამაკაცი, 36 ქალი (91 სული); წინსოფელში - ჩუგოშვილები, 11 კომლი, , 31 მამაკაცი და 27 ქალი (58 სული); ხიტიანთ სოფელში, რომელსაც მოგვიანებით ხოსიანი ეწოდა - სიკინაშვილები, ჩუგოშვილები, კუბურაშვილები, 5 კომლი, 12 მამაკაცი, 8 ქალი (20 სული); ჯავათკარში - ფაგაშვილები და დომინანტი გვარი ბაგინაშვილები - 17 კომლი, 38 მამაკაცი და 36 ქალი (74 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367, ფურცელი 160-165).**

1821 წლის კამერალურ აღწერაში ჟამურის ხეობის სოფლებს შორის მოხსენიებულია: ზემო და შუა ბაგინი, კიბილანი, ჩერქეზიანი, ვაკე, ციხისოფელი, ხოსიანი, ქვემო სოფელი, ჯავათკარი.

ანანურის მაზრაში შემავალი ჟამურელი გლეხები ამჯერადაც თავადების: პოლკოვნიკ მიხეილ ერისთავის და მირმანოზ, სოლომონ, დავით ერისთავების მიწაზე ცხოვრობენ. ზემო ბაგინში - ბიტარაშვილები და ჯებისაშვილები, 12 კომლი, 32 მამრობითი სქესის და 18 მდედრობითი (50 სული), აღწერაში ვხვდებით შიდა მიგრაციის ფაქტსაც, სოლო გეთას ძე ბიტარაშვილის ოთხსულიანი ოჯახი ზემო ბაგინში გორგადან გადმოსახლებულა; ვაკეში - ვაკელაშვილები ანუ კორაშვილები, 15 კომლი, რომლებიც 1814 წლის აღწერაში კორელაშვილებად არიან აღწერილნი, 31 მამრობითი სქესის და 28 მდედრობითი (59 სული); კუპკამში ანუ კიბილანში - ჯებისაშვილები (7 კომლი), ბიტარაშვილები და მედოშვილები, 9 კომლი, 23 მამრობითი სქესის და 15 მდედრობითი (38 სული). აქვე უნდა ითქვას, რომ აღწერის შემაჯამებელ ცნობებში სოფლის სახელწოდებად მითითებულია არა კიბილანი, არამედ შუა ბაგინი; ქვემოსოფელში - ცგოშვილები, 11 კომლია, 28 მამრობითი სქესის და 17 მდედრობითი (45 სული); ჩერქეზაანში - ჩერქეზაშვილები, 4 კომლი, 9 მამრობითი სქესის და 6 მდედრობითი (15 სული); ციხისოფელში - გურჭიშვილები და გაგოშვილები, 16 კომლი, 47 მამრობითი სქესის და 39 მდედრობითი (86 სული), ხოსიანში -

საკინაშვილები, 4 კომლი, 8 მამრობითი სქესის და 5 მდედრობითი (13 სული); ჯავათკარში - ბიგანაშვილები, 6 კომლი, 17 მამრობითი სქესის და 10 მდედრობითი (27 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 689, ფურ. 917-997).** 1814 წლიდან 1821 წლამდე არცთუ ისე დიდი დრო გასული, მაგრამ, როგორც ვხედავთ, დემოგრაფიული ცვლილებები მკვეთრადაა შესამჩნევი... ჟამურის ხეობიდან მასიური მიგრაცია 1831-1832 წლებოდან იწყება, როგორც ქსნის ხეობისავე დაბლობ ნაწილში, ისე სხვა მიმართულებით. ქსნისხეველი ოსები მკვიდრდებიან ქართლის სხვადასხვა ხეობებში. მიუხედავად ბარისკენ მიგრაციისა, ქსანზე ოსთა რაოდენობა წლების განმავლობაში მკვეთრად იმატებდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან 1804 წლამდე ოსური ოჯახების რაოდენობა 70 კომლით იზრდება, 1873 წლისთვის - 99 კომლით. როგორც ვიცით, ქსნის ერისთავები ყმებსა და მამულებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც ფლობდნენ და ჩვენი ქვეყნის დღევანდელი საზღვრების გარეთაც - დვალეთში. ქსნელი მებატონეები თვითონვე უწყობდნენ ხელს ოსთა მიგრაციას, რითაც სამფლობელოში დემოგრაფიულ ვითარებას აბალანსებდნენ. XVIII საუკუნიდან 1814 წლამდე ქსნის ერისთავთა ოსების საერთო რაოდენობა „564-დან 1028 კომლამდე გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო დვალეთის სოფლებიდან ამ დროს ოსური მოსახლეობის ქსნის ერისთავთა საგამგებლო ტერიტორიაზე ჩასახლებით". 1814 წლის მონაცემებით, ქსნის ხეობაში სულ 343 ოსი მკვიდრობდა, აქედან უმეტესობა ჟამურში.

1860 წლის აღწერით, ბაბუანთკარში ყმები ეკუთვნოდათ ესტატე და კონა მირიმანოზის ძე ერისთავებს, ცხოვრობდნენ ბიგანაშვილები, 2 კომლი, 3 მამრობითი სქესის და 3 მდედრობითი (6 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 74-75);** გორგაში თავად დავით ივანეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე ცხოვრობდნენ ბიტარაშვილები, კომლი - 3, მამრნი - 16, მდედრნი - 15 (სულ 31 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 255, ფურ. 26-27); გურჩიანთკარში** (გურწიანთკარში) გიორგი დავითის ძე ერისთავის, მანანა შალვას ასულ ერისთავისა და დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ყმები: გურჩიშვილები (გურწიშვილები) და გაბლოშვილები, 10 კომლი, 53 მამრობითი სქესის და 41 მდედრობითი (94 სული). სხვა სოფლებში (ნავისხევსა და ხოფაში) გადასახლებული კომლები მითვლილი არ არის) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254, ფურ. 44-47);** ვალახ ბაგინში დავით ივანეს ძე, გიორგი დავითის ძე, ესტატე და კონა მირმანოზის ძე ერისთავების მამულზე ცხოვრობდნენ ჯებისაშვილები და მედოშვილები, 18 კომლი, 95 მამრობითი სქესის და 87 მდედრობითი (182 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 348-359);** თოგოიანთკარში ყმები ჰყავდათ დავით ლუარსაბის ძე ერისთავს, გიორგი დავითის ძე ერისთავსა და მარიამ ჭავჭავაძეს, თოგოშვილები, 4 კომლი, 11 მამრობითი სქესის და 17 მდედრობითი (28 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 342-346);** კოპიკავში დავით ლუარსაბის ძე ერისთავისა და გიორგი დავითის ძე ერისთავის მიწაზედ ცხოვრობდნენ: ხეტეშვილები, 4 კომლი, 11 მამრობითი სქესის და 13 მდედრობითი (24 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 226-230);** კუდიკომოში გიორგი დავითის ძე ერისთავის მიწაზე ცხოვრობდნენ ფარნიშვილები და გურწიშვილები, 4 კომლი, მამრნი - 10, მდედრნი - 6 (16 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 158-159).** კორაში კონა და ესტატე ერისთავების ყმები იყვნენ: კორაშვილები და ხეტეშვილები, 12 კომლი, 50 მამრობითი სქესის (სოფლიდან შუახევსა (2 კომლი) და ძალისში (1 კომლი) გადასახლებული 3 კომლის გარდა) და 31 მდედრობითი) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 144-150);** ნავისხევში გიორგი ერისთავის ყმები იყვნენ

გურჭიშვილები, 3 კომლი, 10 მამრობითი სქესის და 8 მდედრობითი (18 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 274);** საღოში დავით ივანეს ძე ერისთავის მიწაზედ ცხოვრობდნენ ბიტარაშვილები, კომლი - 2, მამრნი - 5, მდედრნი - 5 (სულ 10 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან 3, საქმე 254, ფურ. 176-177);** სიღდაში ესტატე და კონა მირმანოზის ძე ერისთავების მამულზე ბიგანაშვილები მკვიდრობდნენ, 3 კომლი, 7 მამრობითი სქესის და 9 მდედრობითი (16 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 291-292);** ფაგიანთკარში ესტატე და კონა მირმანოზის ძე ერისთავების ყმები იყვნენ ფაგიშვილები, 4 კომლი, 15 მამრობითი სქესის და 12 მდედრობითი (სულ 27 სული) **(სეასცა, ფონდი 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 174-176);** ფარნიანთკარში დავით ლუარსაბის ძე ერისთავს ეკუთვნოდა ფარნიშვილების 1 კომლი, 4 მამრობითი სქესის და 5 მდედრობითი (სულ 9 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254, ფურ. 231).** ქვემო ანუ შუა ბაგინში მებატონეები იყვნენ: დავით ივანეს ძე ერისთავი და მანანა შალვას ასული ერისთავი, ცხოვრობდნენ ჯებისაშვილები, 4 კომლი, 12 მამრობითი სქესის და 11 მდედრობითი (23 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254, ფურ. 240-241);** ჩიღოიანთკარში ყმები ჰყავდათ დავით ლუარსაბის ძე და დავით ივანეს ძე ერისთავებს, ჩოღოშვილები (9 კომლი) და ჯებისაშვილები (1 კომლი), სულ 10 კომლი, 44 მამრობითი სქესის და 22 მდედრობითი **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254, ფურ. 72-76).** ძოწიანთკარის მფლობელები იყვნენ დავით (ლუარსაბის ძე) და გიორგი ერისთავები, ცხოვრობდნენ გურჭიშვილები, 6 კომლი, 19 მამრობითი სქესის და 15 მდედრობითი (34 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 320-321);** წინასოფელში იგივე ციხისოფელში თავადების ესტატე და ალექსანდრე ერისთავების მიწაზე ცხოვრობდნენ გურჭიშვილები, 2 კომლი, 8 მამრობითი სქესის და 2 მდედრობითი (10 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 455);** ჯიანთკარში კონა ერისთავის კუთვნილი ყმები იყვნენ სიღდადან გადმოსახლებული ბიგანაშვილები, 3 კომლი, 4 მამრობითი სქესის და 4 მდედრობითი (8 სული) **(სეასცა, ფ. 254, ან. 3, საქმე 255, ფურ. 310-311).** აღნიშნული მონაცემები საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ ჟამურის ხეობის დემოგრაფიული სურათი მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში, რომელიც დიდად არ შეცვლილა საუკუნის მიწურულისთვის. 1886 წლის კამერალური აღწერით, ჟამურის ხეობის კორას სასოფლო თემში შემავალი სოფლები იყო: ბაბუანთკარი (1 კომლი), ვალაგ ბაგინი (16 კომლი), შუა ანუ ქვემო ბაგინი (11 კომლი), გორგა (3 კომლი), გურწიანთკარი (10 კომლი), ჯაანთკარი (ჯიანთკარი) (3 კომლი), ძოწიანთკარი (5 კომლი), კაპიკავი (3 კომლი), კორა (12 კომლი), კურდიკომი (1 კომლი), ნავისხევი (4 კომლი), ფაგიანთკარი (5 კომლი), საღო (5 კომლი), სიღდა (1 კომლი), თოგოიანთკარი (4 კომლი), ფარნიანთკარი (1 კომლი), წინასოფელი (3 კომლი), ჩიგოიანთკარი იგივე დალაკაუ (13 კომლი), ჟამურის ხეობაში 101 კომლი ცხოვრობდა, 492 მამრობითი სქესის და 413 მდედრობითი, სულ 905 სული, მცხოვრებთა დიდი ნაწილი (100 კომლი) ოსი ეროვნების იყო, 1 კომლი - ქართველები (2 მამაკაცი, 3 ქალი) **(Свод, 1893: 76).**

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის აღწერები გვიჩვენებს, რომ ჟამურის ხეობის სოფლების უმეტესობა მცირე კომლიანია, აკი აღნიშნა კიდეც აქ მოგზაურობისას პ. ზაქარაიამ: ყელის ტბის „მიდამოები სანახავად მეტად მიმზიდველია, მაგრამ საცხოვრებლად იქაური ჰავა მეტად მკაცრიაო“ **(ზაქარაია, 1881: 11).** ამიტომაც ჟამურის ხეობა ადრევე დატოვეს აქ გადმოსახლებულმა ოსებმა, განსხვავებით ქსნის ხეობის სხვა ხეობებისა. რ. თოფჩიშვილის მიხედვით, ჟამურის ხეობის ოსური მოსახლეობა XIX-XX

საუკუნეებში ქსნის ხეობის დაბლობსა და ქართლის სხვა რაიონებში გადასახლდა, ნაწილმა ისევ ჩრდილო კავკასიაში არჩია დაბრუნება **(თოფჩიშვილი, 1987: 30).**

1926 წლის აღწერის მიხედვით ზემო ბაგინში 65 სული ცხოვრობდა, ქვემო ბაგინში - 75 სული, გორგაში - 23 სული, გურჭიანში - 44 სული, ჩიგოიანში - 94 სული, ნავისხევში - 38 სული. აღწრრაში გამორჩენილია სოფლები: კორა, თოგოიანი და ფაგოიანი, სადაც მოსახლეობა ჩანს მომდევნო აღწერებში;

1939 წლის აღწერით ზემო და ქვემო ბაგინის მოსახლეობა ერთიანობაშია მოცემული და 238 სულს შეადგენს, გორგაში მოსახლეობა აღარ ჩანს, გურჭიანში 125 კომლია, კორაში - 117, ფაგოიანში - 46, თოგოიანში - 65, ჩიგოიანში - 279 (როგორც ჩანს ჟამურის ხეობის სოფლებიდან მიგრირება, ძირითადად, ჩიგოიანში მოხდა), გამორჩენილია ნავისხევი

1959 წელს ზემო და ქვემო ბაგინში ცხოვრობდა 89 სული, კორაში - 91, ფაგოიანში - 14, ზემო ჩიგოიანში - 34, ქვემო ჩიგოიანში - 78, ნავისხევში - 19.

1970 წელს ზემო ჩიგოიანში 2 სულია აღრიცხული, ქვემოში - 12, ნავისხევში - 7.

1979 წელს ჩიგოიანში - 8 მოსახლეა, ნავისხევში - 2.

1989 წლის აღწერის დროს კი ჟამურის ხეობა უკვე მთლიანად დაცლილი იყო მოსახლეობისაგან **(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).**

XX საუკუნის მეორე ნახევარში ჟამურის ხეობის მოსახლეობაზე საუბრობს ს. მაკალათია: „ქარჩოხის ჩრდილო-დასავლეთით, ქსნის სათავეში, ჟამურის ხეობაა. ამ ხეობაში ოსები ცხოვრობენ, არის ხუთი სოფელი - ჩიგოიანი - 16 კომლი, კორა - 9 კომლი, ბაგინი - 7 კომლი, ნავისხევი - 4 კომლი და თოგოიანი - 4 კომლი.“ **(მაკალათია, 1968: 112).**

პ. ზაქარაია, ჟამურის ხეობის მიმართულებით მგზავრობისას უკვე ნასოფლარებზე ამახვილებს ყურადღებას: „მიდიხართ და ვიწრო ხეობის მაღალი მთების ფერდობებზე განუწყვეტლივ ხედავთ ნასოფლარებს, ნაციხარებს, ცალკეულ კოშკებს, პატარა ეკლესიებს და სხვა ნაგებობებს. ყველაფერი ეს სისხლსავსე ცხოვრების მაუწყებელია. სამწუხაროა, რომ მათი სიხარულისა და ბრძოლის ისტორია მატიანეთა ფურცლებზე არ შეგვრჩენია“ **(ზაქარაია, 1981: 10).** ამ სიტყვების საპასუხოდ არ უნდა დაგვავიწყდეს, თუნდაც 1804 წლის მთიულეთის გლეხთა აჯანყება, რომელშიც ქართლის მთიანეთის უმეტესი ნაწილი მონაწილეობდა, მათ შორის ქსნის ხეობელები... 612 ქსნისხეობელი ქართველით შეუერთდა შანშე ერისთავი რუსთა მომხრეებს, თუმცა აჯანყებულებს მხარს უჭერდა ოსებით დასახლებული სოფლების, მათ შორის ჟამურის ხეობის ოსობა: „ქართველები ცოტაღა დაგვრჩა, მიხეილ ერისთავის ოსებს კი სულ არ სურთ ჩვენთის დახმარების გაწევაო“ - ატყობინებდა ვოლკონსკის რუსთა ჯარის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მაიორი მელლა. **(ახლოური 2021 ა: 129)**

ჟამურის ხეობის ბოლო სოფლები, სადაც მოსახლეობა შემორჩა ნავისხევი და ჩიგოიანი იყო. ისინი, ადმინისტრაციულად, ქარჩოხის სასოფლო საბჭოს ექვემდებარებოდნენ. **(ბალაანი (ქე), 1997: 341).** უკანასკნელი მოსახლე, ვინც ქარჩოხს ზემოთ ჟამურის ხეობაში

ცხოვრობდა, ილიკო ჩიგოევი იყო, ჩემს ბავშვობაში უკვე ღრმად მოხუცი... **(ახლოური, 2021 ბ: 292).**

დღეს კი ჟამურის ხეობის სოფლებთან ერთად ქსანზე ბევრი სხვა სოფელია უკვე ნასოფლარად ქცეული, სამწუხაროა, რომ მათი რიცხვი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დასკვნები

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დასკვნების სახით აღვნიშნოთ, რომ:

ჟამურის ხეობა უძველესი დროიდან იყო დასახლებული. მის შესახებ ცნობები მოგვეპოვება X საუკუნის სამთავნელის სარგოს დავთარში, XV საუკუნის დრამისა და შესავლის გარიგების წიგნში.

საყურადღებოა ჟამურის ხეობის ბაგინისა და მცხეთურ ბაგინეთს შორის ტოპონიმიკური თანხვედრა. ი. გაგოშიძის მოსაზრებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებში შესამჩნევია მოსახლეობის ქსნის ხეობიდან ბარში გადაადგილება.

ჟამურის ხეობის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლია ბერციხე, ციხე-კომპლექსის ზურგიანი კოშკი ადრე შუა საუკუნეებით თარიღდება, სამხრეთის ბოლოში მდგარი ცილინდრულ კოშკი - XVIII საუკუნით, უძველესადაა მიჩნეული კოშკებს შორის მდგარი უაფსიდო ეკლესიაც.

ჟამურის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობებიდან აღსანიშნავია ასევე IX-X საუკუნეების ალავერდის ციხე-კომპლექსი და ხეობის დასაწყისში მდგარი ბაგინის კოშკი, რომელიც საერთო მონაცემებით XVI-XVII საუკუნეთა მიჯნით თარიღდება.

ჟამურის ხეობის ნასოფლარების შესახებ საინტერესო მასალაა მოძიებული ქართველ თუ უცხოელ მოგზაურთა ცნობებიდან, მათ შორის აღსანიშნავია ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილისა და გერმანელი მოგზაურის იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტის სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები. ისინი უშუალოდ ეწვივნენ ქსნის ხეობას და მის სათავეებს.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჟამურის ხეობაში ოსური მოსახლეობა XVIII საუკუნის დასაწყისიდან უკვე ცხოვრობდა, მათ დაიკავეს ის ადგილები, სადაც ადრე ქართველი გლეხობა მკვიდრობდა, რომლებიც თავის მხრივ ქართლის ბარში გადასახლებულან.

ჟამურის ხეობის ნასოფლარების ლოკალიზებაში და იქ არსებული დემოგრაფიული ვითარების განსაზღვრაში დიდ დახმარებას გვიწევს XVIII- XX საუკუნეების მოსახლეობის აღწერები, რომლებიც ნაშრომში ვრცლადაა გაანალიზებული.

ჟამურში ყმები და მამულები ეკუთვნოდათ ქსნის ერისთავებს, ოსები აქ თავდაპირველად ხიზნის სტატუსით დამკვიდრდნენ და გადასახადსაც ამ სტატუსის შესაბამისად იხდიდნენ.

XIX საუკუნის ბოლოსთვის ჟამურში არსებული სოფლების რაოდენობამ 18-ს მიაღწია, ხეობაში 101 კომლი ცხოვრობდა, 492 მამრობითი სქესის და 413 მდედრობითი, სულ 905 სული. აქ მცხოვრებთა გვარები, ქართული გვარების მსგავსად შვილზე ბოლოვდებოდა, იყვნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები.

ჟამურის ხეობელი ოსების უმთავრესი სალოცავი იყო წითელი ხატი, რომლის სახელობის მთა ბაგინის ჩრდილო-დასავლეთითაა, სადაც შემორჩენილია სალოცავის ნანგრევები. როგორც ჯ. გვასალია ასკვნის, საქართველოში თეთრ წმინდა გიორგისთან ერთად ყოფილა წითელი წმინდა გიორგის თაყვანისცემაც.

ჟამურის ხეობიდან მუდმივად ხდებოდა მოსახლეობის მიგრაცია, რამაც XX საუკუნეში მასიური ხასიათი მიიღო, ჟამურის მკვიდრი ოსების ნაწილი ქართლის ბარში დამკვიდრდა, ნაწილი ჩრდილო კავკასიაში დაბრუნდა. მიგრაციის უმთავრესი მიზეზი ხეობის რთული კლიმატური პირობები იყო. უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც ჟამურის ხეობა მოსახლეობისგან მთლიანად დაცლილია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახლოური, დ. (2007). *იოჰან (ანტონ) გიულდენშტედტი ქსნის ხეობაში,* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი".

ახლოური, დ. (2021 ა). *ქსნის ხეობის ისტორია,* ტ., II, თბილისი, გამომცემლობა „საარი".

ახლოური, დ. (2021 ბ). *ქარჩოხის ხეობის მოსახლეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში,* სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული, №20, გორი.

ახლოური, დ. (2023). *ქარჩოხის ხეობის ნასოფლარები,* სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია", № IX, 2023

ბაგრატიონი, იოანე. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

ბალაანი (ქე). (1997). ენციკლოპედია „საქართველო“. თბილისი.

ბატონიშვილი, ვახუშტი. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა,* ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

გაგოშიძე, ი. (1964). *ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

გვასალია, ჯ. (1967). *ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები,* საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან,* თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გია გელაშვილმა, ტ., I, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ). (1956). *ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ.,* №7486.

ზაქარაია, პ. (1981). *ლენინგორის რაიონი (ისტორიულ-არქიტექტურული მიმოხილვა),* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

თოთაძე, ა. (1996). *ოსები ქართულ მიწა-წყალზე,* წიგნში „ოსთა საკითხი", გორი-თბილისი, გამომცემლობა „პითაგორა".

თოფჩიშვილი, რ. (1987). *ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი (XVIII-XX სს.),* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, №4.

თოფჩიშვილი, რ. (1997). *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები,* თბილისი: გამომცემლობა „ლომისი".

კაკაბაძე, ს. (1929). *საისტორიო კრებული,* წიგნი IV, ტფილისი.

მაკალათია, ს. (1968). *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი,* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 367. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 367.*

სეასცა, ფ. 254, ან. 1, საქმე 689. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე 689.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 252.*

სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 254.*

სეასცა, ფ. 255, ან. 2, საქმე 254. *საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 2, საქმე 255.*

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *მოსახლეობის სრულიად საკავშირო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020.

ღუნაშვილი, ვ. (1997). *ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I,* პუბლიკაციები, თბილისი.

შიდა ქართლი. (2008). *ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. IV,* ცირა დადიანიძის რედაქციით, თბილისი.

ჯავახიშვილი, ივ. (1967). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი 1, დემოგრაფიული ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის აღწერის დავთრები,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯავახიშვილი, ივ. (1974). *საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II,* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

ჯალაბაძე, გ. (1975). *ქსნის ხეობის მოსახლეობა,* წიგნში „ქსნის ხეობა", თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება".

Акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.* Тифлис.

Свод. (1893). *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Душетский уьезд, Ксанский участок,* Тифлис.

REFERENCES

akhlouri, d. (2007). *iohan (anton) guldenstedti ksnis kheobashi [Johan (Anton) Guldenstedt in the Ksani Valley].* Tbilisi: “Universali”.

akhlouri, d. (2021 a). *ksnis kheobis istoria [History of the Ksani Valley].* II, Tbilisi: ,,Saari".

akhlouri, d. (2021 b). *karchokhis kheobis mosakhleoba meckhramete saukunis dasawkisshi [The population of Karchokhi valley at the beginning of the nineteenth century],* ssip goris sakhelmwifo universitetshi chatarebuli davit agmasheneblisadmi midzgvnili saertashoriso konferenciisadmi midzgvnili shromata krebuli [A collection of works

dedicated to the seventh international conference dedicated to Davit Aghmashenebeli held at the LEPL Gori State Teaching University], №20, Gori.

akhlouri, d. (2023). karchokhis kheobis nasoflarebi [devastated villages in karchokhi valley], ssip goris sakhelmwifo universitetis jurnali istoria, arkeologia, etnologia [Journal "history, archaeology, ethnology" by gori state teaching university] № IX.

bagrationi, ioane.(1986). *Kartl-kaxetis agwera [The description of Kartl-Kakheti],* teksti gamosacemad moamzades, gamokvleva da sadzieblebi daurtes tina enukidzem da guram bedoshvilma [The text was prepared for publication, research and references were added by Tina Enukidze and Guram Bedoshvili]. Tbilisi: "Metsniereba".

balaani (ke). (1997). Entsiklopedia (sakartvelo) [Encyclopedia "Georgia"]. Tbilisi.

bat'onishvili vakhusht'i. (1973). *aghtsera sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia].* kartlis tskhovreba [Georgian chronicles]. IV. teksti dadgenili kvela dziritadi khelnaweris mixedvit s. kaukhchishvilis mier [The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili]. Tbilisi: Metsniereba.

gagoshidze, i. (1964). *Adreantikuri khanis dzeglebi ksnis kheobidan [Monuments of the Early Antique Age from the Ksani Valley],* Tbilisi: "Metsniereba".

gvasalia, j. (1967). *ksnis kheobis istorili geografiis sakitkhebi [issues of historical geography of the ksani valley],* sakartvelos istoriuli geografiis krebuli, III [collection of historical geography of Georgia, III], Tbilisi: publishing house „Metsniereba".

gvritishvili, d. (1955). *feodaluri saqartvelos socialuri urtiertobis istoriidan (qartlis satavadoebi) [From the history of social relations of feudal Georgia (Kartli principalities)].* Tbilisi: „Sakhelgami“.

guldenstedtis mogzauroba sakartveloshi [guldenstedt's trip to georgia]. (1962). germanuli teksti kartuli targmaniturt gamosca da gamokvleva daurto gia gelashvilma [The German text was published with a Georgian translation and research was added by Gia Gelashvili]. I. Tbilisi.

goris istoriul-etnograpiuli muzeumi (gsiem) [gori historical-ethnographical museum]. (1956). *Kofili ksnis saeristavos mosakhleobis agwera 1804 w. [Population census of former Ksani Saeristavo in 1804]. №7486.*

zakaraya, p. (1981). *leningoris raioni (istoriul-arkiteqturuli mimokhilva) [Leningori region (historical-architectural review)].* Tbilisi: „Sabchota Sakartvelo".

totadze, a. (1996). *osebi kartul mitsa-tskalze [ossetians on the georgian land],* tsignshi „osta sakitkhi“ [in the book „the ossetians Issue''], Gori-Tbilisi: ,,Pythagoras".

topchishvili, r. (1987). ksnis xeobis mosakhleobis zogierti etnoistorili sakitchi *(XVIII-XX სს.) [ethnohistorical issue related to some of the population of ksani valley (XVIII-XXI)],*

sakartvelos ssr metsnierebata akademiis macne, istoriis, arkeologiis, etnografiis da khelovnebis istoriis seria [bulletin of the georgia's ssr academy of science, series of history of archeology, ethnography and art], Tbilisi: №4.

topchishvili, r. (1997). *sakartveloshi osta chamosaxlebis da shida kartlis etnoistoriis sakitxebi [Issues of the settlement of Osetians in Georgia and ethno history of Shida Kartli],* Tbilisi: „lomisi".

kakabadze, s. (1929). *saistorio krebuli [Historical collection],* IV, Tbilisi.

makalatia, s. (1968). *ksnis kheoba, istoriul-etnografiuli narkvevi [Ksani Valley, historical-ethnographic essay].* Tbilisi.

national statistical service of Georgia. (2020). *mosakhleobis sruliad sakavshiro 1939, 1959, 1970, 1979 da 1989 aghtserebis shedegebi samkhret osetis avtonomiur olkshi [the census results of the whole unity of population in 1939, 1959, 1970, 1979 and 1970 years, in south ossetia autonomous district].* sakartvelos statistikis erovnuli samsakhuri [national statistical service of georgia], 2020.

seasca, f. 254, ins. 1, case 367. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 367 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 367].*

seasca, f. 254, ins. 1, case 367. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 1, saqme 689 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 689].*

seasca, f. 254, Ins. 2, Case 252. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 252 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, Ins. 2, case 252].*

seasca, f. 254, ins. 2, case 254. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 254 [national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 254].*

seasca, f. 254, ins. 2, case 255. *sakartvelos erovnuli arqivi, centraluri saistorio arqivi, fondi 254, anatseri 2, saqme 255 [National archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 2, case 255].*

seasca, f. 254, ins. 2, case 252. *national archives of georgia, historikal central archive, fund 254, ins. 1, case 252.*

shida kartli. (2008). *akhalgoris municipalitetis arqiteqturuli memkvidreoba [architectural heritage of akhalgori municipality], IV,* cira dadianidzis redakciit [edited by tsira dadianidze]. tbilisi.

ghunashvili, v. (1997). *narkvevebi ksnis kheobis warsulidan [essays from the past of the ksani valley], I,* publikaciebi [publications]. Tbilisi.

javakhishvili, Iv. (1967). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [Monuments of economic history of Georgia], 1, demograpiuli dzeglebi [Demographic monuments] XVIII.* tbilisi: Metsniereba

javakhishvili, Iv. (1974). *sakartvelos ekonomiuri istoriis dzeglebi [monuments of economic history of georgia], (XIII-XIX), II.* tbilisi: Metsniereba.

jalabadze g. (1975). *ksnis kheobis mosakhleoba [The population of Ksani valley],* wignshi „ksnis kheoba“ [In the book ksani gorge]. tbilisi: Metsniereba.

акты. (1868). *собранные Кавказской археографической комиссией: Том II.[collected by the Caucasian Archaeographic Commission. Vol.II]* Тифлис. Tbilisi.

Свод. (1893). *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Душетский уьезд, Ксанский участок,* Тифлис, 1893.